

სერვისები სტუდენტებისათვის!

საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA გთავაზობთ ფართო სპექტრის მომსახურებას, რაც დაგეხმარებათ წარმატების მიღწევაში.

SBA პროფორიენტაციის სამსახური- აკადემიაში შექმნილია პროფორიენტაციის სამსახური, რომელიც დაინტერესებულ პირებს ეხმარება, მიიღონ ინფორმაცია სხვადასხვა პროფესიის, საგანმანათლებლო პროგრამების, ადამიანური რესურსებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.
დაგვიკავშირდით: ელ. ფოსტა Pr@sba.edu.ge; Office@sba.edu.ge

SBA კარიერის სამსახური- აკადემიის კარიერული სამსახური მუდმივად ზრუნავს სტუდენტთა დასაქმებაზე. სასწავლო პროგრამები შექმნილია დამსაქმებლების უშუალო მონაწილეობით. სპეციალობის მასწავლებელთა უმეტესობაც მომავალი დამსაქმებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები არიან. მათთან გაფორმებულია მემორანდუმები და ხელშეკრულებები, რაც უზრუნველყოფს სრულფასოვანი პროფესიული პრაქტიკის გავლას. ყოველივე ეს ქმნის თითოეული სტუდენტის წარმატებული დასაქმების წინაპირობას. ჩვენი ურთიერთობა სტუდენტებთან არ მთავრდება საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებით ან დიპლომის გაცემით, კარიერის სამსახური უწყევს კონსულტაციებს და ზრუნავს მათ დასაქმებაზე. აკადემიის ყველა კურსდამთავრებული აღირიცხება შესაბამის მონაცემთა ბაზაში და ჩვენ თვალყურს ვადევნებთ მათ პროფესიულ განვითარებას. კარიერის სამსახური აკადემიაში აწყობს დასაქმების ფორუმებს, წარჩინებულ სტუდენტებს აძლევს განსაკუთრებულ რეკომენდაციას, რითაც ხელს უწყობს კურსდამთავრებულების დასაქმებას პარტნიორ ორგანიზაციებში.
დაგვიკავშირდით: ელ. ფოსტა Pr@sba.edu.ge; Office@sba.edu.ge

SBA საკონსულტაციო მომსახურება- აკადემიაში არსებობს საკონსულტაციო მომსახურება, რომლის ფარგლებში მომუშავე პირები, არსებულ სტუდენტებს უწყევნ კონსულტირებას და ეხმარებიან მათ სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში.
დაგვიკავშირდით: ელ. ფოსტა t.maisuradze@sba.edu.ge

SBA სამედიცინო სამსახური - აკადემიაში სამედიცინო სამსახურისათვის გამოყოფილია სპეციალური სივრცე. სტუდენტებს ემსახურებათ სერტიფიცირებული ექიმი და კვალიფიციური ექთანი, რომლებიც ყოველთვის მზად არიან პირველადი დახმარების გასაწევად. ამისათვის არსებობს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ყველა პირობა. სამედიცინო სამსახური ვალდებულია უზრუნველყოს ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო სასწავლო გარემო და სტუდენტთა ჯანმრთელობის უსაფრთხოება, სჭიროების შემთხვევაში გასცეს რეკომენდაცია პირის საწარმოო პრაქტიკის ობიექტზე დაშვებისათვის. სამედიცინო სამსახური საჭიროების შემთხვევაში დახმარებას უწევს შშმ/სსსმ პირებს.

დაგვიკავშირდით: ელ. ფოსტა medicalservicesba@gmail.com

SBA სოციალური პასუხისმგებლობა- აკადემია ზრუნავს სოციალურად დაუცველი სტუდენტებისათვის და სთავაზობს მათ 20%-იან შეღავათს.

დაგვიკავშირდით: ელ. ფოსტა Pr@sba.edu.ge; Office@sba.edu.ge

SBA ფინანსური შეღავათი- აკადემიის პროფესიული დიპლომის მქონე სტუდენტები ისარგებლებენ ფინანსური შეღავათით, ამავე დაწესებულების საბაკალავრო პროგრამაზე სწვლის პერიოდში .

დაგვიკავშირდით: ელ. ფოსტა Office@sba.edu.ge; s.inashvili@sba.edu.ge

SBA სერვისი შშმ პირებისათვის- SBA ქმნის პირობებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისათვის განათლების მისაღებად და ხელს უწყობს საზოგადოებაში მათ სრულფასოვან ინტეგრირებას .

- გადაადგილების უნარშეზღუდულ პირებს თავისუფლად შეუძლიათ მივიდნენ ყველა აუდიოტორიასა და კაბინეტში. მათთვის მოწყობილია პანდუსები და ხელმისაწვდომია ყველა სახის სერვისი. დაცვისა და სამედიცინო სამსახურები საჭიროების შემთხვევაში დახმარებას უწევენ აღნიშნულ პირებს.
- სმენადაქვეითებული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია სასწავლო მასალები როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული ფორმით. გამოცდების პროცესი ხორციელდება მათთვის მოსახერხებელი ფორმით. აკადემიას ჰყავს პერსონალი, რომელს ეხმარება მათ კომუნიკაციის დამყარებაში. მიზნობრივი ჯგუფის საჭიროების გათვალისწინებით, აკადემიაში შექმნილია საშაბათო სკოლა, სადაც ხორციელდება ვებ-დიზაინის სასერტიფიკატო პროგრამა.
- განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა უსინათლო პირთა განათლების საკითხებს. დადებულია თანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს უსინათლოთა კავშირთან, რომელიც სპეციალური აპარატურით აღჭურვილ სტუდიაში უზრუნველყოფს სასწავლო და მხატვრული მასალების ჩაწერას

აუდიო მატარებლებზე. არსებობს სპეციალური კომპიუტერული პროგრამა, რომელიც უსინათლოთათვის ხელმისაწვდომს ხდის ელექტრონულ მატარებლებზე ჩაწერილი ინფორმაციის გაცნობას.

დაგვიკავშირდით: ელ. ფოსტა Office@sba.edu.ge; medicalservicesba@gmail.com

SBA სერვის-ცენტრი - ახორციელებს სტუდენტთა მომსახურეობას, გაცემს ინფორმაციას და კონსულტაციებს რეგისტრაციის, ჩარიცხვის, სასწავლო პროცესის ორგანიზების, პრაქტიკების, საგამოცდო სესიების და სხვა მნიშვნელოვან საკითხებში. გაცემს ცნობებს, საჭირო დოკუმენტაციას სტუდენტის სტატუსის, აკადემიური მოსწრების შესახებ და სხვ.

დაგვიკავშირდით: ელ. ფოსტა Office@sba.edu.ge; t.maisuradze@sba.edu.ge

SBA ბიბლიოთეკა- აკადემიას გააჩნია ბიბლიოთეკა, რომლის წიგნსაცავში დაცულია სილაბუსების/მოდულების მიხედვით მითითებული ყველა სასწავლო ლიტერატურა, ხელმისაწვდომი ნაბეჭდი ან ელექტრონული ფორმით. სამკითხველო დარბაზში განთავსებულია ინდივიდუალური სამუშაო მაგიდები და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერები. ბიბლიოთეკაში შესაძლებელია მასალების დასკანერება, ასლების გადაღება და ამობეჭდვა. კვალიფიციური ბიბლიოთეკის გამგე ყოველთვის მზადაა მკითხველთა დასახმარებლად. ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველდღე, კვირის გარდა 10.00 დან 18.00 საათამდე.

დაგვიკავშირდით: ელ. ფოსტა Library@sba.edu.ge

SBA ენების სკოლა- აკადემიაში არსებობს ენების სკოლა, აღჭურვილი საუკეთესო სასწავლო ლიტერატურითა და უცხო ენის სპეციალიზებული ლაბორატორიით, რაც იძლევა აუდირების, სასწავლო ფილმების, ასევე ინტერნეტის გამოყენების საშუალებას ენის სწავლების პროცესში. ენების სკოლის ფარგლებში ხორციელდება ინგლისური ენის სასერტიფიკატო პროგრამა- რომელიც, მსურველებს თავაზობს A1, A2, B1, B2, C1 დონის პროგრამებს. საორიენტაციო გამოცდის საფუძველზე მსმენელი ჩაირიცხება შესაბამის დონეზე.

სასწავლო კურსის დასრულებისას მსმენელზე გაიცემა ინგლისური ენის შესაბამის დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სტანდარტების სერტიფიკატი.

დაგვიკავშირდით: ელ. ფოსტა misha_chili@mail.ru

SBA IT სკოლა- აკადემიაში არსებობს IT სკოლა, რომლისთვისაც გამოყოფილია კომპიუტერული ლაბორატორიები, აღჭურვილი თანამედროვე კომპიუტერებით, ინდივიდუალური სამუშაო მაგიდებით, მუდმივი ინტერნეტით.

IT სკოლის ფარგლებში ხორციელდება სასერტიფიკატო კურსი საოფისე პროგრამებში. კურსი მოიცავს კომპიუტერთან მუშაობის ძირითად უნარებსა და აუცილებელ საოფისე პროგრამებს, რაც გაგიადვილებთ სამუშაო ადგილის პოვნას და გააუმჯობესებს თქვენი მუშაობის ეფექტიანობას.

დაგვიკავშირდით: ელ. ფოსტა liashvili@live.com

SBA ბიზნესის საკონსულტაციო ცენტრი (BCC)- ბიზნესის საკონსულტაციო ცენტრი - BCC არის საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ს სტრუქტურული ერთეული, რომლის საქმიანობას წარმოადგენს ბიზნესში მიმდინარე პროცესების მცირემასშტაბიანი კვლევების ჩატარება, პროფესიული განხილვების ორგანიზება და საკონსულტაციო საქმიანობის განხორციელება ბიზნესის განვითარების მიმართულებით.

BCC დაკომპლექტებულია კვალიფიციური მეცნიერ-თანამშრომლებითა და კომპეტენტური პერსონალებისაგან. ცენტრი მჭიდროდ თანამშრომლობს დამსაქმებელთა ასოციაციასთან, საფინანსო და აუდიტორულ კომპანიებთან.

დაგვიკავშირდით: ელ. ფოსტა Nazi.chkhoidze@gmail.com

SBA უკაბელო ინტერნეტი/Wifi- თქვენ შეგიძლიათ აკადემიის მთელ ტერიტორიაზე ისარგებლოთ უკაბელო ინტერნეტით.

SBA კაფეტერია- აკადემიის კაფეტერია მოწყობილია თანამედროვე ინფრასტრუქტურით. კაფეტერია ორიენტირებულია სტუდენტს შეუქმნას კომფორტული, მყუდრო დასვენების გარემო და უზრუნველყოფს ჯანსაღი საკვების მიწოდებას.

დაგვიკავშირდით: ტელ 032 240 34 40 (115).

SBA ღონისძიებები- გარდა ხარისხიანი განათლების მიწოდებისა, აკადემია ზრუნავს სტუდენტურ ცხოვრებაზე და სწავლის პერიოდში სტუდენტებს სთავაზობს სხვადასხვა ტიპის პროექტს, ინტელექტუალურ, გასართბ, სპორტულ და სხვა ღონისძიებებს.

დაგვიკავშირდით: ელ. ფოსტა Pr@sba.edu.ge

SBA **სატრანსპორტო მომსახურება**- აკადემია ითვალისწინებს სტუდენტების მოთხოვნებს და ყოველთვის სთავაზობს მათ საჭიროებებზე მორგებულ სერვისს, რაც ითვალისწინებს ასევე ტრანსპორტით მომსახურებასაც. აკადემიას ჰყავს მიკროავტობუსის ტიპის სატრანსპორტო საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა უსაფრთხო გადაადგილებას. ეს სერვისი აკადემიის სტუდენტებისთვის უფასოა.

დაგვიკავშირდით: ელ. ფოსტა Pr@sba.edu.ge;

SBA **დაცვის სამსახური**- აკადემიაში არებობს დაცვის სამსახური, რომელიც აღჭურვილია სათვალთვალო კამერებით და ოცდაოთხსაათიან რეჟიმში უზრუნველყოფს დაწესებულების შენობის დაცვას. ის ემსახურება უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნას და საჭიროების შემთხვევაში დახმარებას უწევს შშმ/სსსმ პირებს.

დაგვიკავშირდით: ტელ 032 240 34 40 (106);

SBA **ავტოსადგომი**- აკადემიას საკუთრებაში აქვს ავტოსადგომი, რომელიც სამუშაო საათებში ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.

დაგვიკავშირდით: ტელ 032 240 34 40 (106);